

## მასალა მომზადებულია საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის მიერ

### რა არის ბავშვთა მიმართ ძალადობა?

ძალადობას ყოველთვის თან ახლავს პირადი ღირსების შეურაცხყოფა. ის შეიძლება გამოვლინდეს მუქარით, დამცირებით, დაშინებით, პირადი საკუთრების ხელყოფით, საჯარო შეურაცხყოფით, ან სექსუალური ექსპლუატაციით. ჩვეულებრივი ყოფითი საწყენი რეპლიკები და კრიტიკული გამოსტომები სხვა არაფერია, თუ არა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რადგანაც ეს უცილობლად აისახება ვისიმე ემოციურ ან ფიზიკურ მდგომარეობაზე.

### ბავშვთა მიმართ ძალადობის 4 ძირითადი ფორმა არსებობს:

1. **ფიზიკური ძალადობა** – ფიზიკური ზემოქმედების შედეგად სხეულის სხვადასხვა სიძიმის დაზიანება - ცემა, ხელისკვრა, პანდურის ამორტყმა, დაწვა, კბენა, მოგუდვა, ნებისმიერი ტკივილის მიყენება (ჩქმეტა, ნემსით ჩხვლეტა და ა.შ.);
2. **ემოციური ძალადობა** – არაფიზიკური, სიტყვიერი და ქცევითი შეურაცხყოფა, რომელიც ზიანს აყენებს ბავშვის ემოციურ და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას – მუქარა, დამცირება, რაიმეს დაბრალება, დაშინება, იზოლირება და სხვა. ბავშვზე ემოციური ძალადობის ერთერთ ფორმას წარმოადგენს მოზრდილთა ჩხუბი ბავშვის თანდასწრებით.
3. **სექსუალური ძალადობა** – ბავშვის გამოყენება სექსუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და/ან გამორჩენის მიზნით – გაუპატიურება ან გაუპატიურების მცდელობა, სისხლის აღრევა (ინცესტი), სექსუალური მეტყველებით თუ შენიშვნებით დევნა, ბავშვისთვის პორნოგრაფიული სურათების გადაღება, ეროტიული ალერსი, სექსუალური შინაარსის ფილმების ყურების ან პორნოგრაფიული ჟურნალების დათვალიერების ნებართვა, სასქესო ორგანოების დემონსტრირება და სხვა.

4. **უგულებელყოფა** – ბავშვის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და განვითარებისათვის აუცილებელი საჭიროებების (საკვები, საცხოვრებელი, ტანსაცმელი, მოვლა, მეთვალყურეობა, ყურადღება, განათლება, სამედიცინო დახმარება და სხვა) რეგულარული დაუკმაყოფილებლობა მშობლის თუ მეურვის მხრიდან, ობიექტური მიზეზების გამო (სიღარიბე, ფსიქიკური დაავადებები, გამოუცდელობა) ან ამგვარი მიზეზების გარეშე.

## **ძალადობა და კონფლიქტი**

### **რა არის კონფლიქტი?**

კონფლიქტი არის წინააღმდეგობა ორ ან მეტ ადამიანს შორის, რომელიც წარმოიშობა მათი მიზნების, შეხედულებების, სურვილების, ინტერესების, დაპირისპირების გამო.

ძალადობა და კონფლიქტი არაა ერთი და იგივე.

### **ძალადობის შემთხვევაში:**

- დამნაშავეა მხოლოდ მოძალადე;
- უმეტესწილად მსხვერპლს არ შეუძლია ძალადობის თავიდან აცილება;
- პასუხისმგებლობა მხოლოდ მოძალადეს ეკისრება;
- ძალადობა ყოველთვის ნეგატიურად აისახება ბავშვის განვითარებაზე.

### **კონფლიქტის შემთხვევაში:**

- დამნაშავეა ორივე მხარე;
- კონფლიქტის არიდება შესაძლებელია;
- პასუხისმგებლობა ორივე მხარეს ეკისრება;

კონფლიქტი რიგ შემთხვევებში აისახება ბავშვის განვითარებაზე

## **მოძალადე და მსხვერპლი, როგორ ვიქცევით**

### **ვინ შეიძლება იყოს მოძალადე.**

ბავშვები ძალადობას განიცდიან სხვადასხვა პიროვნებებისაგან, ხშირად მოძალადე მშობელია. მცდარია წარმოდგენა იმის შესახებ, თითქოს მოძალადე ადამიანები არანორმალურნი ან დანარჩენებისაგან განსხვავებულნი არიან. ხშირად გარემომცველებს არ სურთ იმის დაჯერება, რომ “გარეგნულად ასეთი წესიერი” ადამიანი შეიძლება სასტიკად ეპყრობოდეს ოჯახის წევრებს; მაგრამ ეს მართლაც ასეა - ხშირად მშობლები, რომლებიც რეგულარულად სცემენ თავიანთ შვილს, გარეშეებთან ურთიერთობაში სასიამოვნონი არიან და სხვათაგან არაფრით გამოირჩევიან. მათ ერთი სერიოზული პრობლემა აერთიანებთ - თავიანთი რისხვის კონტროლის უუნარობა.

### **ვინ შეიძლება გახდეს ძალადობის მსხვერპლი**

ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ბავშვი, მაგრამ, არსებობს ბავშვების კატეგორია, რომლებიც სასტიკი მოპყრობის “რისკ-ჯგუფს” შეადგენენ. მრავალრიცხოვან გამოკვლევათა თანახმად, რისკის ჯგუფში შედიან ბავშვები, რომელთა დედებიც სისტემატიურად განიცდიან ძალადობას, შვილად აყვანილი, ბავშვთა სახლის აღსაზრდელები ან “არასასურველი ბავშვები”. ჰიპერაქტიური, აგრეთვე გონებრივად ან ფიზიკურად არასრულფასოვანი ბავშვები ასევე მიეკუთვნებიან ამ ჯგუფს, რადგან ხშირად აიძულებენ თავიანთ მშობლებს მათი აღზრდის სიძნელეებით გამოწვეული იმედგაცრუებები და სტრესები განიცადონ.

## **როგორ ვიქცევით**

თუ თქვენ ეჭვობთ, რომ ადგილი აქვს ბავშვის მიმართ რაიმე ფორმით ძალადობას, ნუ დაელოდებით განმეორებას, დაუყოვნებლივ აცნობეთ ამის შესახებ შესაბამის ორგანოებს. იმ შემთხვევაშიც კი, როცა თქვენ ბოლომდე

დარწმუნებულნი არ ბრძანდებით, დაყოვნება არ შეიძლება, რადგან საფრთხე შეიძლება ემუქრებოდეს ბავშვის კეთილდღეობას, ჯანმრთელობას და მთელ მის შემდგომ ცხოვრებას. შეგიძლიათ თქვენი განცხადება გააკეთოთ ანონიმურად.

თუ ბავშვი გიყვებათ მის მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ, აჯობებს მას დაუჯეროთ. ამ საკითხთან დაკავშირებით ბავშვები იშვიათად ცრუობენ. შეეცადეთ არ გამოხატოთ თქვენი შეშფოთება. თქვენი რეაქცია მთლიანად განსაზღვრავს ბავშვის დამოკიდებულებას მომხდარისადმი. აუცილებლად შეაქეთ ის გულახდილობისათვის და არავითარ შემთხვევაში არ დაადანაშაულოთ მომხდარის გამო, რადგან ბავშვებს ისედაც აწუხებთ დანაშაულის გრძნობა. პირიქით, დაამშვიდეთ ბავშვი და დაარწმუნეთ, რომ ის არაფერში არაა დამნაშავე.

ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა უშედეგო იქნება პრობლემისადმი მულტიდისციპლინარული მიდგომის გარეშე. ეს ნიშნავს, რომ ძალადობისაგან ბავშვის დასაცავად ერთად უნდა იზრუნოს მშობელმაც, მასწავლებელმაც, ფსიქოლოგმაც, სოც. მუშაკმაც, ჟურნალისტმაც, პედიატრმაც, სამართალდამცველებმაც.

### **ბავშვთა მიმართ ძალადობის შედეგები**

- მოზრდილი ადამიანების (მშობლების) შიში, მოზრდილთან ფიზიკური კონტაქტის შიში;
- მოულოდნელი ხმების შიში,– შიშის რეაქცია სხვა ბავშვების ტირილზე;
- უკიდურესობები ქცევაში: ძლიერი აგრესიულობიდან უკიდურეს პასიურობამდე;
- შენიშვნებზე, კრიტიკაზე მტკივნეულად რეაგირება;
- სისასტიკე ცხოველებთან დამოკიდებულებაში;
- სახლიდან გაქცევები;
- აკვიატებული ხასიათის სექსუალური თამაშები; ასაკისათვის შეუფერებელი სექსუალური ცოდნა;

- პერიოდული ღამის კოშმარები;
- სკოლაში არარეგულარული სიარული ან ადრე მიდის და გვიან ბრუნდება;
- აკადემიური მოსწრების უეცარი გაუარესება;
- არ შეუძლია მეგობრების პოვნა;
- დანაშაულის და სირცხვილის გრძნობები;
- დაბალი თვითშეფასება, არ აქვს თავდაჯერებულობა და თვითპატივისცემა.
- მეტყველების დარღვევები (ენაბრგვილობა, მუტიზმი);
- ჯანმრთელობის პრობლემები (სხვადასხვა ნევროზი),- დეპრესიები;
- თვითდაზიანებები: მავნე ჩვევები (რწევა, თითის წოვა);
- ტყუილები;
- ფიზიკური განუვითარებლობა,- მოუვლელობა, მოუწესრიგებლობა,
- არ აქვს პიგიენური ჩვევები;
- შიმშილის მუდმივი შეგრძნება;
- დაღლილობა;
- წერილმანი ქურდობები

### **გარემოს გავლენა ბავშვის თავის ტვინის განვითარებაზე**

ბავშვის სწორ აღზრდას, განსაკუთრებით ადრეულ ასაკში დიდი მნიშვნელობა აქვს მისი გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებისთვის, რომელიც მას შემდგომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში გააყვება.

კარგი კვება და კარგი აღზრდა ხელს უწყობს თავის ტვინის ოპტიმალურ განვითარებას და ოპტიმალურ ფიზიკურ განვითარებას, რაც ათვისების

(სწავლის) უნარის, ქცევისა და ჯანმრთელობის საფუძველია ინდივიდის მთელი სიცოცხლის მანძილზე

თუ ბავშვი ძუძუთი იკვებება, იზრდება დედის მკლავებში, იგი იღებს სიგნალებს და იაზრებს იმას, რასაც ხედავს და გრძნობს. სითბოს, შეხების, გემოს, ხმის, სუნის შეგრძნებები „ძერწავს“ ჩვილის ტვინს.

მამას თავისი პატარა გოგონა (18 თვის) კალთაში უზის და წიგნს უკითხავს. გოგონა მშობლის მკლავებშია მოქცეული, მამას კი დიდი ფერადსურათებიანი წიგნი უჭირავს ხელში. იგი კითხულობს სიტყვებს და ელაპარაკება ცხოველებზე. მამა ელოდება, როდის დაადებს შვილი ხელს ცხოველის ცხვირს ან თვალს. აქაც კიდევ ერთხელ სითბოს, შეხების, მზერის, სუნის, ხმის და მდებარეობის შეგრძნებები „ძერწავენ“ ბავშვის თავის ტვინს.

**თავის ტვინის ახლებური გააზრება**

ძველი შესედულება	ახალი შესედულება
1. თავის ტვინის განვითარება დამოკიდებულია გენებზე, რომელიც ადამიანს დაბადებიდან დაჰყვება.	1. თავის ტვინის განვითარება დამოკიდებულია გენებისა და შეგრძნებების კომპლექსურ ურთიერთქმედებაზე.
2. სამ წლამდე განცდილი შეგრძნებები ნაკლებ ზემოქმედებენ შემდგომ განვითარებაზე.	2. ადრეული ასაკის განცდებს გადამწყვეტი ზეგავლენა აქვთ თავის ტვინის აგებულებასა და მოზრდილის უნარების, ბუნებასა და ხასიათზე.
3. საიმედო (უსაფრთხო) ურთიერთობა მშობლებთან (მზრუნველთან) ხელსაყრელ გარემოს ქმნის ბავშვის განვითარებისათვის	3. ადრეული ურთიერთობები არა მხოლოდ გარემოს ქმნიან, არამედ პირდაპირ ზეგავლენას ახდენენ თავის ტვინის ჩამოყალიბებაზე.
4. თავის ტვინი სწორხაზოვნად ვითარდება: თავის ტვინის უნარი – ისწავლოს და შეცვალოს, თანაბარზომიერად ვითარდება ბავშვის ზრდასთან ერთად.	4. თავის ტვინი არ ვითარდება სწორხაზოვნად: არის აღმავლობის პერიოდები, როცა ადამიანი უკეთესად და უფრო ადვილად ეუფლება ცოდნას, სხვადასხვა პროფესიას.
5. ბავშვის თავის ტვინი საგრძნობლად ნაკლებად აქტიურია, ვიდრე უნივერსიტეტის სტუდენტისა.	5. სამი წლის ასაკში ბავშვის თავის ტვინი ორჯერ უფრო აქტიურია, ვიდრე მოზრდილისა. აქტიურობის დონე ზრდასთან ერთად კლებულობს.

მშობლებს, აღმზრდელებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ ჩვილებსა და პატარა ბავშვებს სჭირდებათ სიყვარული და ყურადღება.

ბავშვის უყურადღებო გარემოში გაზრდას უარყოფითი შედეგები მოსდევს. ბიჭებს, რომლებიც იზრდებიან ნაკლებად მზრუნველ გარემოში, ბაღსა და სკოლაში ანტისოციალური ქმედებისა და აგრესიისაკენ აქვთ მიდრეკილება. თავის ტვინის განვითარების კრიტიკულ პერიოდებში წარმოშობილი ზოგიერთი დარღვევა შეიძლება „ანაზღაურდეს“ (თუმცა ტვინის სრული პოტენციალის აღდგენის მიღწევა შეუძლებელია), მაგრამ ბავშვის მიმართ ექსტრემალური გულგრილობის კომპენსაცია შეუძლებელია.

### **ტელევიზიის ზემოქმედება ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაზე**

#### **გამოკვლევები ცხადყოფს:**

- ძალადობის სცენების შემცველი ფილმების ყურება აბსოლუტურად ყველა ასაკის (დაწყებული სკოლამდელებით და დამთავრებული თინეიჯერებით) ნორმალური ბავშვის ქცევაში სისასტიკის გამოვლინების გაძლიერებას იწვევს.
- ვიდეოფილმებში ასახული სისასტიკის სცენები შესაძლოა დანაშაულებათა ზრდის ერთ-ერთი მიზეზი იყოს. არაა გამორიცხული, რომ ვიდეოფილმებში ნანახმა თვითმკვლელობის სცენებმა სუიციდის შემთხვევათა გახშირება გამოიწვიონ.
- ბავშვები, რომლებიც ხშირად უყურებენ ძალადობის შემცველ ფილმებს, უფრო ადვილად ეგუებიან თანატოლთა მტრულ და აგრესიულ ქვევებს. მათში გაცილებით ნაკლებადაა გამოხატული ძალადობისთვის წინააღმდეგობის გაწევის სურვილი.
- რაც უფრო მეტ დროს ატარებს ბავშვი ტელევიზორთან, მით უფრო დაბალია მისი ინტელექტის კოეფიციენტი, მით უფრო ნაკლებად აქვს მას განვითარებული წარმოსახვა და შემოქმედებითი პოტენციალი. ბავშვები,

რომლებიც დღეში 2 საათზე მეტ ხანს უყურებენ ტელეგადაცემებს, როგორც წესი, უარესად სწავლობენ, განსაკუთრებით მათ კითხვა უჭირთ.

- არასწორი კვება. რაც უფრო მეტ ხანს უყურებს ბავშვი ტელევიზორს, მით უფრო ნაკლებად მოძრაობს ის და ნაცვლად იმისა, რომ ნორმალურად ისადილოს ან ივანშმოს, ხშირად “წაილუკმებს” ხოლმე. ეს კი, თავის მხრივ, ჭარბწონიანობასა და სხვა პრობლემებს გამოიწვევს. სამწუხაროდ, არაჯანსაღ ჩვევათა ფორმირებაში არსებით როლს ასრულებს სატელევიზიო რეკლამა, რადგან ის ხშირად გვთავაზობს სწრაფი მომზადების ნაირგვარ კერძს, ცხიმის, ქოლესტერინის, შაქრისა და მარილის მაღალი შემცველობის პროდუქტებს.

- ტელევიზია ასევე გვაჩვენებს აზრს, რომ ალკოჰოლური სასმელების მიღება საყოველთაოდ მიღებული და უვნებელია. ეკრანზე ფილმის პერსონაჟები ხშირად მიირთმევენ სპირტიან სასმელს და იშვიათად ხდება ისე, რომ დადებითმა, მაყურებლისთვის სიმპათიურმა გმირმა მთელი ფილმის განმავლობაში არ დალიოს თუნდაც ერთი სირჩა.

- ტელევიზია სექსისადმი არაჯანსაღ ინტერესს ავითარებს და ცდუნების წყაროს წაროდგენს. სექსი ეკრანზე ხშირად ძალადობის, სისასტიკის ან დანაშაულის ფორმითაა წარმოდგენილი. ამასთან, სექსისადმი მიძღვნილი ყველა სატელევიზიო ეპიზოდის დაახლოებით 70 პროცენტი ან ქორწინებისაგრე კავშირებს ეხება, ან პროსტიტუციას.

- ტელევიზია გარკვეული სექსის, რასის ან ასაკისთვის დამახასიათებელი სტერეოტიპების ფორმირებას ახდენს. მაგალითად, მოხუცებული ვიდეოფილმებში ხშირად ავისმქმნელად ან მსხვერპლადაა წარმოდგენილი, ჭირვეული, ჯიუტი ან გამოთაყვანებულია.

**როგორ შეიძლება ბავშვებზე ტელევიზიის ნეგატიური ზეგავლენის შესუსტება?**



- დაუწესეთ ბავშვებს ტელეეკრანთან ყოფნის დროის ყოველდღიური ნორმა – ვთქვათ, მაქსიმუმ 2 საათი და ბავშვის საძინებელი ოთახიდან გამოიტანეთ ტელევიზორი.
- დააწესეთ შეზღუდვები გარკვეულ სატელევიზიო პროგრამებზე თუ ფილმებზე.
- ბავშვთან ერთად განიხილეთ ნანახი ფილმები და დაეხმარეთ მას განასხვავოს სიმართლე გამონაგონისაგან. მაგალითად, ბევრ ფილმში ჩვენ ვხედავთ მიმზიდველ და რისკიან საავტომობილო ტრიუკებს, შეჯახებებს, დევნის სცენებს, რომლებიც ხშირად აფეთქებებითა და ხანძრით მთავრდება ხოლმე. ამ დროს კი გმირები, როგორც წესი, საღები და უვნებელი რჩებიან. მსგავსი სცენის ნახვის შემდეგ ჰკითხეთ ბავშვს, შეიძლებოდა თუ არა ასეთი რამ რეალურ ცხოვრებაში მომხდარიყო.
- ესაუბრეთ იმის შესახებ, რომ სასტიკი ჩხუბი ეკრანზე ძალზე ეფექტურად ჩანს, თუმცა რეალურ ცხოვრებაში მათ მხოლოდ ტკივილი და ტრამები მოაქვთ და თავიანთი არსით, დანაშაულს წარმოადგენენ.
- მაშინვე გააკრიტიკეთ ძალადობის ამსახველი ეპიზოდები. ხაზი გაუსვით იმას, რომ ძალადობა პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზა არაა.
- სჯობს ადრეული ასაკიდანვე აუხსნათ ბავშვს, თუ რისთვის ახდენენ მწარმოებლები თავიანთი პროდუქციის რეკლამირებას და რომ სინამდვილეში შეიძლება ეს პროდუქცია არც ისეთი საინტერესო ან ჯანმრთელობისთვის არც ისე სასარგებლო იყოს, როგორც ამას ამტკიცებენ.

## დასჯა და შექება

### დასჯა

ათი წესი ყველასათვის:

1. დასჯა არ უნდა ვნებდეს ჯანმრთელობას, არც ფიზიკურს, არც ფსიქიკურს;
2. თუ ყოყმანობთ, დასაჯოთ თუ არ დასაჯოთ ბავშვი, გირჩევთ, არ დასაჯოთ.
3. მხოლოდ ერთი სასჯელი, მაშინაც კი, როცა ერთდროულად უამრავი ცუდი საქციელია ჩადენილი.
4. სჯობს არ დასაჯოთ, ვიდრე დასაჯოთ დაგვიანებით.
5. თუ დასჯა აუცილებელია, სჯობს ბავშვმა თვითონ ამოირჩიოს სასჯელი.
6. დაისაჯა-ეპატია. ინციდენტი ამოწურულია.
7. დასაჯეთ დამცირების გარეშე.
8. დასჯა- არა სიყვარულის ხარჯზე.
9. ბავშვის დასჯისას დარწმუნდით, რომ მან იცის, რისთვის ისჯება.
10. არ დააგალოთ სასჯელად იშრომოს ან ისწავლოს.

არც ბავშვი და არც დიდი არ შეიძლება დაისაჯოს და გაილანძლოს:

- როცა ავადაა, შეუძლოდაა ან მთლად არ გამოჯანმრთელებულა ავადმყოფობის შემდეგ;
- როცა ჭამს; ძილის წინ; ძილის შემდეგ; თამაშის დროს; მუშაობის პროცესში;
- მაშინვე ფიზიკური ან სულიერი ტრავმის შემდეგ ( წაქცევა, ჩხუბი, ცუდი ნიშანი სკოლაში, ნებისმიერი წარუმატებლობა);
- როცა ნამდვილად ცდილობს და რაღაც არ გამოსდის;
- როცა ბავშვის საქციელის შინაგანი მოტივები თქვენთვის გაუგებარია;
- როცა თავად ვერ ხართ ხასიათზე.

## შექება

ვის სჭირდება შექება განსაკუთრებით:

1. არასრულფასოვანი- ანუ ბავშვები, რომლებიც ასეთებად გრძნობენ თავს: სწავლაში ჩამორჩენილი, სუსტი ჯანმრთელობის მქონე, ძალზე მორცხვი, ნელი, მსუქანი, ენაბორძიკა და სხვა.
2. ზესრულფასოვანი- ჯანმრთელი, ნიჭიერი. ასეთი ბავშვები გრძნობენ თავიანთ უპირატესობას და აღიარების ბუნებრივი მოთხოვნილება აქვთ.
3. თავმოყვარენი, შეფასებებისადმი გამმაფრებული მგრძნობელობის მქონენი

## რისთვის შევაქოთ?

*კომპენსაცია.* შეაქოთ იმისათვის, რაც არის. გოგონა უღამაზოა და ეხლახანს მიხვდა ამას? შეაქოთ მისი თვალები, ღიმილი, ხმა, კეთილი ბუნება. ბიჭუნა მშიშარაა ან ფიზიკური ნაკლის მქონე? უჭირს სწავლა? შეაქოთ იმისათვის, რომ მაღაზიაში დადის, დამოუკიდებლად იკრავს ფეხსაცმლის ზონრებს, დილაობით პირს იბანს და კბილებს იხეხავს.

*აგანსი.* შეაქოთ იმისათვის, რაც იქნება. მოსალოდნელია, რომ შესაძლებლობა სინამდვილედ იქცეს. “შენ ეს გინდა”, “შენ ამას შეძლებ”.

## როგორ და რისთვის არ უნდა შევაქოთ:

არ შეაქოთ იმისათვის, რაც საკუთარი შრომით არაა მოპოვებული: სიღამაზე, ძალ-ღონე, ჯანმრთელობა, ჭკუა, ტალანტი, ფიზიკური, გონებრივი და სულიერი ღირსებები შექებას არ ექვემდებარებიან (ნიჭისათვის კი არ შეაქოთ, არამედ გაწეული შრომისათვის, ძალისათვის კი არ შეაქოთ, არამედ ვინმეს დაცვისათვის)

არ შეაქოთ:

- ერთი და იგივესათვის ორზე მეტად;
- სიბრალულის გამო;
- ბავშვისთვის თავის მოწონების სურვილით;
- მისი მშობლისთვის თავის მოწონების სურვილით.

გახსოვდეთ: “ყველაფერი წამალიც შეიძლება იყოს და შხამიც, წამლად ან შხამად აქცევს მხოლოდ დოზა”.

### **ძალადობა ოჯახში**

ძალადობა ოჯახში – ეს არის ოჯახის წევრის მიერ ბავშვის ან ოჯახის სხვა წევრის მიმართ ჩადენილი ნებისმიერი ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ სექსუალური ძალადობა. როგორც წესი, ეს არ არის ცალკეული, ერთეული შემთხვევა. ის ხშირად მეორდება და სისასტიკის გაღრმავების ტენდენცია ახასიათებს.

ცნობილია, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი ძირითადად ქალები და ბავშვები ხდებიან.

### **ოჯახში ძალადობის სახეები**

– **ძალადობა მცირეწლოვანი ბავშვების მიმართ** – მაგალითად, ადამიანმა შეიძლება ვერც კი გაიაზროს, რომ ჩვილი ბავშვის შენჯღრევამ შესაძლოა ტვინი დაუზიანოს მას და მისი სიკვდილის მიზეზიც კი გახდეს.

– **ფიზიკური ძალადობა** – მშობლები, ოჯახის წევრები ბავშვის მიმართ უხეშ მოპყრობას და სასტიკად დასჯას მიმართავენ მაშინ, როდესაც სურთ, რომ ბავშვი კარგად მოიქცეს.

– **ფსიქოლოგიური ძალადობა** – ბავშვის შეურაცხყოფა, დამამცირებელი სახელებით მიმართვა, მუქარა, იზოლირება ან უგულებელყოფა ძალადობის სხვადასხვა ფორმებს წარმოადგენს.

– უყურადღებოდ მიტოვება (უგულებელოფა) – ოჯახი არ უზრუნველყოფს ბავშვს იმით, რაც მისი ნორმალური ზრდისა და განვითარებისთვის აუცილებელია, არ იცავს მას საფრთხისაგან.

– სექსუალური ძალადობა – ბავშვებს აძალებენ სქესობრივ ურთიერთობას, აცდუნებენ მათ ან ეხებიან ისე, რომ ისინი უხერხულად გრძნობენ თავს.

– ნაადრევი ქორწინება – მთელ მსოფლიოში 82 მილიონი გოგონა შედის ქორწინებაში 18 წლის ასაკამდე. ბევრ მათგან გაცილებით ადრეულ ასაკში აძალებენ ქორწინებას უფროს მამაკაცებზე, რის შედეგადაც მათ შეიძლება დაემუქროთ ძალადობის, მათ შორის სექსუალური ძალადობის საფრთხე.

– ოჯახში ძალადობის მოწმეობა – ზოგიერთი ბავშვი საკუთარ სახლში ხდება ოჯახური ძალადობის მოწმე, ძირითადად მშობლებს შორის. ამგვარმა ძალადობამ შეიძლება ბავშვის ფსიქიკაზე, მის განვითარებაზე მოახდინოს ზეგავლენა და განსაზღვროს მისი სამომავლო ქცევა სხვების მიმართ.

### ოჯახში ძალადობის შედეგები

#### *რას განიცდის ბავშვი?*

ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ბავშვს თან სდევს სირცხვილის, ბრაზის, სასოწარკვეთის, ხშირად – სიძულვილისა და შურისძიების გრძნობები. ბავშვი გაორებულია: მას უყვარს მშობლები და ამასთანავე მათი დამოკიდებულებით გამოწვეული უარყოფითი ემოციები აწუხებს. ამგვარი გაორება შინაგან დაძაბულობას კიდევ უფრო ზრდის, ბავშვის დაბნეულობასა და დაურწმუნებლობას იწვევს. ამდენად, ის მუდმივი სტრესის მდგომარეობაში იმყოფება.

#### *ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვისათვის დამახასიათებელია:*

- მარტოობის განცდა – თავს მიტოვებულად და მარტოსულად გრძნობს;

მშობლისადმი გაორებული (შიში და სიყვარული) დამოკიდებულება

- საკუთარი ზედმეტობისა და უღირსობის განცდა
- საკუთარი ოჯახის მიმართ გაუცხოება
- სიძნელეები სკოლაში
- ძალადობის მიმდებლობა
- საკუთარი თავის დადანაშაულება
- ძალადობის უარყოფა – მაღავს ძალადობის ფაქტს ან საერთოდ უარყოფს სტრესული რეაქციები – ძილის დარღვევა, დეპრესია, თავის ტკივილი, შიში, შფოთვა, უიმედობა, ჩაკეტილობა და სხვა.

**განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი:**

მნიშვნელობა არა აქვს იმას, ბავშვი ოჯახში პირდაპირი ძალადობის მსხვერპლია (მას სცემენ, ავიწროებენ, შეურაცხყოფას აყენებენ) თუ არაპირდაპირის(ოჯახის სხვა წევრებზე ძალადობის მოწმეა).

**ნებისმიერ შემთხვევაში ძალადობრივ ოჯახში მცხოვრები ბავშვი ძალადობის მსხვერპლია!**

**როგორ ვრეაგირებთ ბავშვთან ძალადობის გამოვლენის/ეჭვის შემთხვევაში**

**ხუთი “არა” ძალადობაგანცდილ ბავშვთან საუბრისას:**

- არ შეშინდეთ, არ აჩვენოთ, რომ თქვენ შოკირებული ხართ, რასაც არ უნდა ამბობდეს ბავშვი ან მშობელი;
- ნუ გააუფასურებთ მათ ტკივილს (ისეთი გამოთქმები, როგორიცაა “ეს არ არის მიზეზი აღელვებისათვის”, მხოლოდ იმას აჩვენებს, რომ თქვენ მისი არ გესმით).
- ნუ შეეცდებით მის გამხიარულებას, ადამიანს “სტკივა”;
- არ უსაყვედუროთ ბავშვს იმის გამო, რომ აქამდე არავის უამბო ამის შესახებ, და არაფერი გააკეთა მის აღსაკვეთად;

- არ შეჰპირდეთ, რომ საიდუმლოდ შეინახავთ მონათხრობს (თქვენ შეგიძლიათ შეჰპირდეთ პრობლემის შინაარსის საიდუმლოდ შენახვას, მაგრამ არა ძალადობის ფაქტისა).

**ხუთი “ღიას” ძალადობაგანცდილ ბავშვთან საუბრისას:**

- შეინარჩუნეთ სიმშვიდე;
- აგრძნობინეთ და უთხარით, რომ გესმით მისი;
- უთხარით, რომ გჯერათ მისი;
- დაარწმუნეთ, რომ არ თვლით მას მომხდარში დამნაშავედ;
- უთხარით, რომ ის მარტო არ არის და თქვენ ყველაფერს გააკეთებთ იმისათვის, რომ ძალადობა აღარ განმეორდეს.

## **ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები**

**მუხლი 5. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემა**

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემა მოიცავს:

- ა) ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენას;
- ბ) ბავშვის მდგომარეობის შეფასებას;
- გ) საჭიროების შემთხვევაში ბავშვის განთავსებას მომსახურებაში ან მომსახურებებში, რომელიც ხელს შეუწყობს მის უსაფრთხოებას და რეაბილიტაციას;
- დ) შემთხვევაზე ზედამხედველობას.

**მუხლი 6. ბავშვზე ძალადობის შემთხვევის გამოვლენა**

1. ბავშვზე ძალადობის შემთხვევის გამოვლენა ევალება ყველა დაწესებულებას, რომელიც ურთიერთობს ბავშვთან, მათ შორის სკოლას, სამედიცინო დაწესებულებას, სოფლის ექიმს, ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებას, სააგენტოს, საუბნო სამსახურსა თუ საპატრულო პოლიციას.

2. სკოლების, სამედიცინო და ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებების ადმინისტრაცია და სოფლის ექიმები ვალდებული არიან ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ადგილზე მოახდინონ ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული გადაუდებელი მდგომარეობისა და ბავშვზე განხორციელებული ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის იდენტიფიკაცია და აწარმოონ შემთხვევის მართვა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებით განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლებში.

**3. ბავშვზე ძალადობის ეჭვის წყარო შეიძლება იყოს ქვემოთჩამოთვლილ ფაქტორთაგან ერთ-ერთი:**

ა) ბავშვზე სხეულის დაზიანებების ნიშნების არსებობა (სილურჯეები, ახალი ჭრილობები, ახალი ნაკაწრები, ახალი იარები, გაძნელებული სიარული, შეშუპებული სხეულის ნაწილები, მოტეხილობები);

ბ) ბავშვის საეჭვო ქცევა (ბავშვი აღგზნებულია, დათრგუნულია, აქვს შიშები, არ უნდა სკოლაში სიარული, არარეგულარულად დადის სკოლაში, არ სწავლობს, მოუვლელია, არ უნდა სახლში დაბრუნება, ასაკის შეუფერებლად სექსუალურია, აქვს სექსის შესახებ ასაკისთვის შეუფერებელი ცოდნა, რადიკალურად შეეცვალა ხასიათი, ვერ ხსნის ტრავმის მიზეზებს).

ძალადობის ეჭვის შემთხვევაში, ამ მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული დაწესებულებები აწარმოებენ გამოკითხვას, რათა დადგინდეს, საფუძვლიანია თუ არა წარმოქმნილი ეჭვი.

**5. ეჭვი ითვლება საფუძვლიანად შემდეგ შემთხვევებში:**

ა) ბავშვზე სხეულის დაზიანების არსებობისას წარმოებული გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: ბავშვის განხცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;



ბ) ბავშვზე სხეულის დაზიანების არსებობისას წარმოებული გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: მოწმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს;

გ) ბავშვზე სხეულის დაზიანების არსებობისას წარმოებული გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: მშობლის არაადექვატური ქცევა, როგორცაა:

გ.ა) ბავშვის ტრავმის სიმძიმე არ შეესაბამება ტრავმის მიღების შესახებ მშობლის მონათხრობს;

გ.ბ) მშობლის მონათხრობის დეტალები მუდმივად იცვლება;

გ.გ) მშობელი არაადექვატურად რეაგირებს ბავშვის ტრავმაზე – ტრავმას აფასებს უფრო მსუბუქად, ვიდრე არის;

გ.დ) ტრავმის მიზეზის ახსნა არ ხდება;

დ) ბავშვის საექვო ქცევის არსებობისას წარმოებული გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: ბავშვის განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;

ე) ბავშვის საექვო ქცევის არსებობისას წარმოებული გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: მოწმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს;

ვ) ბავშვის განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;

ზ) მოწმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს.

6. ამ მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული სუბიექტები გადაუდებელი მდგომარეობის შემთხვევაში ვალდებულნი არიან ინფორმაცია ბავშვზე ძალადობის ეჭვის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ პოლიციას და საჭიროების შემთხვევაში გამოიძახონ სასწრაფო დახმარება, ხოლო ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას ვალდებულნი არიან შეავსონ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მიმართვის ბარათი (დანართი №2), რომელიც ეგზავნება სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულს ფოსტით ან ფაქსით.

7. ამ მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული დაწესებულებები ვალდებული არიან შეიმუშაონ ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული შიდა წესები.

**ექვი ითვლება საფუძვლიანად შემდეგ შემთხვევებში:**

1. ბავშვზე სხეულის დაზიანების არსებობისას წარმოებული გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: ბავშვის განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;
2. ბავშვზე სხეულის დაზიანების არსებობისას წარმოებული გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: მოწმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს;
3. ბავშვზე სხეულის დაზიანების არსებობისას წარმოებული გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: მშობლის არაადეკვატური ქცევა,
4. ბავშვის საექვო ქცევის არსებობისას წარმოებული გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: ბავშვის განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;
5. ბავშვის საექვო ქცევის არსებობისას წარმოებული გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: მოწმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს;
6. ბავშვის განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;
7. მოწმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს.
8. სხვა (დაასაბუთეთ)